დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 3 ნოემბერი**

დისციპლინური საქმე №188/23
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2023 წლის 23 ოქტომბრის №188 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2023 წლის 24 ოქტომბრის №611/188-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ და განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის სარჩელის უზრუნველყოფის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერებას. ამასთან, აღნიშნავს, რომ მოსამართლემ უსაფუძვლოდ უთხრა უარი სარჩელის განუხილველად დატოვებაზე და არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა საქმეთა გაერთიანების შესახებ.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- 2022 წლის 29 ივლისს სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების - -- -- მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, ქონების მესაკუთრედ ცნობისა და თანხის დაკისრების მოთხოვნით.

2022 წლის 1 აგვისტოს სასამართლომ მიიღო განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე.

2022 წლის 14 სექტემბერს მოპასუხე მხარემ -- საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 1 აგვისტოს განჩინების გაუქმების მიზნით საჩივარი წარადგინა სასამართლოში. 10 ოქტომბერს სასამართლომ მიიღო განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის და სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნის შესახებ. -- სააპელაციო სასამართლომ 2023 წლის 17 თებერვალს მიიღო განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

2022 წლის 14 სექტემბერს მოპასუხე მხარემ შესაგებელი წარადგინა სასამართლოში.

2022 წლის 24 ოქტომბერს მოსარჩელემ მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობა წარადგინა სასამართლოში. 31 ოქტომბერს სასამართლომ მიიღო განჩინება მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ.

-- საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 21 დეკემბრის განჩინებით -- -- დაევალა მოპასუხე - -- -- სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ჩაბარება.

-- -- 2023 წლის 27 იანვრის წერილის თანახმად, მოპასუხეს ჩაბარდა სარჩელი თანდართული დოკუმენტებით.

-- საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 17 მარტის განჩინებით საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2023 წლის 10 აპრილს.

სასამართლო უწყების მოპასუხე - -- -- ჩაბარების მიზნით, 2023 წლის 28 მარტს სასამართლომ მიიღო განჩინება შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოსათვის სასამართლო უწყების მხარისათვის გადაცემის დავალების შესახებ.

-- -- 2023 წლის 7 აპრილის წერილის თანახმად, ადრესატს გზავნილი ვერ ჩაბარდა.

სასამართლო სხდომა გაიმართა 2023 წლის 10 აპრილს.

2023 წლის 10 აპრილს მოსარჩელემ საქმეთა გაერთიანების შესახებ შუამდგომლობა წარადგინა სასამართლოში. 10 აპრილის საოქმო განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა საქმეთა გაერთიანების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2023 წლის 10 აპრილის საოქმო განჩინების თანახმად, სამოქალაქო საქმის №-- წარმოება შეჩერდა -- -- საქალაქო სასამართლოს განხილვაში არსებული №-- სამოქალაქო საქმეზე (მოსარჩელე - -- --, მოპასუხე - -- --, დავის საგანი: შვილად აყვანის ბათილად ცნობა და სამკვიდრო ქონების მოსარჩელისათვის მიკუთვნება) მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

2023 წლის 25 აპრილს სასამართლომ მიიღო განჩინება შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოსათვის სასამართლოს სხდომის ოქმის მხარისათვის გადაცემის დავალების შესახებ.

-- -- 2023 წლის 3 მაისის წერილის თანახმად, ადრესატს გზავნილი ვერ ჩაბარდა.

2023 წლის 4 მაისს სასამართლომ მიიღო განჩინება 2023 წლის 10 აპრილის სასამართლოს სხდომის ოქმის საჯაროდ გავრცელების შესახებ.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც წარმოდგენილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტში.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია სასამართლოს დამოუკიდებლობა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები, 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სწორედ სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). გასაჩივრების უფლების რეალიზაციის მიზნით, მხარეებს მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, შესაძლებლობა აქვთ მიმართონ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების, აგრეთვე, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასების დაუშვებლობას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავის მხრივ, იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერების საკითხის შეფასებას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილი მხარეს ანიჭებს უფლებას მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, რათა ხელი არ შეეშალოს ანდა შეუძლებელი არ გახდეს სამომავლო გადაწყვეტილების აღსრულება. კერძოდ, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ეს განცხადება ასევე უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად, რომელიმე ზემოაღნიშნული გარემოების არსებობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს,

რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. სასამართლოს მსჯელობა მატერიალურ და საპროცესო წინაპირობებზე გავლენას არ ახდენს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

საქმის მასალებით დგინდება, რომ მოსარჩელემ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობა წარადგინა სასამართლოში. სასამართლომ მიიღო განჩინება შუამდგომლობის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე. მოსამართლის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სრულად/ნაწილობრივ დააკმაყოფილოს ან არ დააკმაყოფილოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მხარის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა, რა დროსაც სასამართლო საკითხს წყვეტს საქმის ფაქტობრივი გარემოებების ყოველმხრივი ანალიზის და იმ შესაძლო რისკების გონივრულ ფარგლებში შეფასებით, რაც შუამდგომლობის სრულად/ნაწილობრივ დაკმაყოფილებას ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმას შეიძლება მოჰყვეს.

ამასთან, მოპასუხემ სარჩელის განუხილველად დატოვების მოთხოვნით შუამდგომლობა წარადგინა სასამართლოში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ: იმავე ან სხვა სასამართლოს წარმოებაში არის საქმე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით. იმის გათვალისწინებით, რომ სახეზე არ იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული სარჩელის განუხილველად დატოვების წინაპირობები მოპასუხეს უარი ეთქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

რაც შეეხება, მხარის მოთხოვნას საქმეთა გაერთიანების შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს წარმოებაშია რამდენიმე ერთგვაროვანი და სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებული საქმე, რომლებშიც ერთი და იგივე ან სხვადასხვა მხარე მონაწილეობს, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გააერთიანოს ეს საქმეები ერთ წარმოებად ერთად განხილვისათვის, თუ ასეთ გაერთიანებას შედეგად მოჰყვება დავის უფრო სწრაფად და სწორად განხილვა. მოსამართლე, რომელსაც მიმართეს საქმეთა გაერთიანების შესახებ შუამდგომლობით, თავის წარმოებაში არსებულ საქმესთან აერთიანებს თავის წარმოებაშივე ან სხვა მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეს, რის თაობაზეც გამოაქვს მოტივირებული განჩინება. მოცემულ შემთხვევაში მოსამართლემ მიიჩნია, რომ საქმეთა გაერთიანება ვერ უზრუნველყოფდა დავის უფრო სწრაფად და სწორად განხილვას. ამდენად, მიიღო საოქმო განჩინება, შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

შესაბამისად, საჩივრის ავტორის მოთხოვნა, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიღებული განჩინების კანონიერების შემოწმებას არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტით, 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

შეწყდეს -- -- 2023 წლის 23 ოქტომბრის №188 საჩივრის საფუძველზე მოსამართლე -- -- მიმართ არსებული დისციპლინური სამართალწარმოება.

შოთა ქადაგიძე
დამოუკიდებელი ინსპექტორი